



ემიგრანტი მშობლების შვილების
მხარდაჭერისა და დაცვის
პროტოკოლი
საბავშვო ბაღებისთვის

საერთაშორისო ასოციაცია კვიტას
გეორგია

შინაარსი

1. ემიგრანტი მშობლების ბავშვების შესახებ	6
2. ემიგრანტი მშობლების შვილების ძირითადი საჭიროებები	7
4. მიგრანტი მშობლების შვილების ემოციური მდგომარეობა და საბავშვო ბაღის პროფესიონალების როლი	12
ემპათიის რუკის გამოყენება მიგრანტი მშობლების შვილებისთვის	15
გამოყენების ეტაპები	15
ეტაპი 1: დაკვირვება.....	15
ეტაპი 3: ანალიზი.....	16
ეტაპი 4: დაგეგმვა	16
ეტაპი 5: მონიტორინგი.....	16
ძირითადი პრინციპები	16
4.2. ბავშვთა ფსიქოსოციალური უნარების გათვალისწინება.....	19
4.3. ინდივიდუალური ემოციური რეაქციების გათვალისწინება.....	21
4.4. იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება	21
4.5. დაუცველობის განცდა.....	22
5. პრაქტიკული აქტივობები.....	24
6. სკოლამდელი განათლების დაწესებულების პერსონალის ეთიკის პრინციპები ემიგრანტი მშობლების შვილებთან მიმართებით	31
7. 9 პრინციპი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად	34
10. აღმზრდელის თვითრეფლექსიის ფორმა	37
ქულების დათვლის სისტემა.....	38
რეფლექსია.....	38

წინამდებარე პროტოკოლი მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგიკას“ მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაკვეთით, პროექტის - „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“-პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკა, ის შესაძლოა არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

მარტი, 2026

თბილისი, საქართველო



ერთი ან ორივე მშობლის ემიგრაციის შედეგად მსოფლიოში მილიონობით ბავშვი რჩება სამშობლოში, როგორც წესი, ოჯახის სხვა წევრის ან ახლობლის/ნათესავის მზრუნველობის ქვეშ. ემიგრაციას, დადებითი ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, ხშირად ახლავს მნიშვნელოვანი სოციალური და ემოციური გამოწვევები. მშობელთან ხანგრძლივი განშორება გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე, ქცევაზე, უსაფრთხოების განცდაზე და ზოგად განვითარებაზე. ადრეულ ასაკში, როდესაც ბავშვი განსაკუთრებით დამოკიდებულია სტაბილურ და მზრუნველ გარემოზე, ასეთი ცვლილებები კიდევ უფრო მეტ გავლენას ახდენს მის კეთილდღეობაზე.

საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგიკას“ მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, საჯარო საბავშვო ბაღებში ჩართული ბავშვების დაახლოებით 4%-ს ერთი ან ორივე მშობელი ემიგრაციაში ჰყავს. ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ საკითხი სისტემურია და საჭიროებს მიზნობრივ, პროფესიულ და თანმიმდევრულ რეაგირებას ადრეული განათლების სისტემის ფარგლებში.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბავშვო ბაღი და აღმზრდელი. სკოლამდელი განათლების დაწესებულება ბავშვისთვის წარმოადგენს პირველ სოციალურ სივრცეს ოჯახის შემდეგ, ხოლო აღმზრდელი ხშირად არის ის ადამიანი, რომელიც ამჩნევს ბავშვის ემოციურ ცვლილებებს, ქცევის თავისებურებებს და მხარდაჭერის საჭიროებას. აღმზრდელის ყურადღებას, მგრძობელობასა და ემპათიურ დამოკიდებულებას შეუძლია შექმნას უსაფრთხო და სანდო გარემო, სადაც ბავშვი თავს დაცულად და მიღებულად იგრძნობს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის არყოფნის პირობებში.

საბავშვო ბაღი არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცე — იგი წარმოადგენს გარემოს, სადაც ბავშვი სწავლობს ემოციების ამოცნობას, გამოხატვას და რეგულაციას, ურთიერთობების დამყარებას და სამყაროს შეცნობას თამაშისა და გამოცდილების გზით. სწორედ ამიტომ, აღმზრდელთა როლი მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

წინამდებარე პროტოკოლის მიზანია დაეხმაროს საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასა და აღმზრდელებს, გამოიყენონ ბავშვის საჭიროებებზე დაფუძნებული, სისტემური და პრაქტიკული მიდგომები, რომლებიც მოიცავს ბავშვის მდგომარეობის დაკვირვებას, დროულ იდენტიფიცირებას, შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვასა და განხორციელებას. პროტოკოლი ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვები განიცდიან ნაკლებ სტრესს, იღებენ საჭირო ემოციურ მხარდაჭერას და ინარჩუნებენ აქტიურ ჩართულობას ყოველდღიურ საქმიანობებში.

აღნიშნული პროტოკოლი შემუშავდა საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგიკას“ მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროექტის – „კვლევა და მიზნობრივი შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფ ბავშვებზე (LBC)“ – ფარგლებში. დოკუმენტი წარმოადგენს ნაბიჯს ბავშვთა საჭიროებებისა და გამოწვევების უფრო ღრმა გააზრებისკენ და მიზნად ისახავს საბავშვო ბაღებში ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და ჰოლისტიურ განვითარებას.

*საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკას პრეზიდენტი,
მაია ნასრაშვილი*

1. ემიგრანტი მშობლების ბავშვების შესახებ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალურ საკითხთა, ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტმა 2020 წელს შეიმუშავა რეზოლუცია - „შრომითი მიგრაციის გავლენა ემიგრანტების ბავშვებზე“¹, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საპარლამენტო ასამბლეა შემფოთებულია სიღარიბით გამოწვეული შრომითი მიგრაციის დამანგრეველი ზემოქმედებით სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე, რომლებიც ხშირად მოკლებულნი არიან საბაზისო ზრუნვას, დაცვას და მხარდაჭერას. ამ ფენომენის მასშტაბები ზოგიერთ ქვეყანაში საგანგაშოა, ზრდასრულთა მესამედამდე საზღვარგარეთ მუშაობს. მიუხედავად ამისა, დარჩენილი ბავშვები ძირითადად უხილავი რჩებიან საჯარო დისკურსსა და პოლიტიკის შემუშავებაში.“

ტერმინის განმარტება:

- ეს ფრაზა გამოიყენება იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც იზრდებიან სამშობლოში როცა ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება ემიგრაციაში;
- ამ ტერმინის გამოყენება შეიძლება როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციაზე;

სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკა ამკვიდრებს ტერმინს - ემიგრაციაში მყოფი მშობლების სამშობლოში მყოფი შვილები.

მშობლის ემიგრაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე.

- **ფსიქო-სოციალური სირთულეების ზრდის რისკი** - მშობლებთან ხანგრძლივმა განშორებამ შეიძლება გაზარდოს ბავშვის ფსიქოლოგიური სირთულეების რისკი. ბავშვები უჩივიან მოტივაციის ნაკლებობას, მოწყვნილობას, ყურადღების დეფიციტს, მოჭარბებულ ბრაზს.
- **ფსიქოლოგიური სტრესის რისკი** - 11-14 წლის ბავშვები ნაკლებად შეუძლიათ სიტუაციასთან გამკლავება და განიცდიან სტრესს, ასევე შფოთვისას. ამის შედეგად მათ შეიძლება განიცადონ ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, ჰქონდეთ მიტოვების გრძნობა, განუვითარდეთ დაბალი თვითშეფასება, რამაც შეიძლება განაპირობოს მათი საერთო განვითარებისა და სოციალიზაციის უნარის შეფერხება.
- **განათლების დონის შემცირების რისკი** - მშობლის ემიგრაციამ შეიძლება გაზარდოს ბავშვის საგანმანათლებლო მიღწევების შემცირების, ბავშვის სწავლის მიმართ მოტივაციის შემცირების და მეტიც, საგანმანათლებლო დაწესებულების მიტოვების რისკები. მშობლის/მშობლების ჩართულობის შემცირება აისახება ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზეც.
- **ძალადობის რისკების ზრდა** - ემიგრანტების ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან შრომითი ექსპლუატაციის, ასევე სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის, ადამიანებით ვაჭრობის, მათ შორის სექსუალური და/ან შრომითი ექსპლუატაციისა და ორგანოებით ვაჭრობის მიმართ. სიყვარულის, ყურადღების, თვითშეფასების მოთხოვნილება და ამავდროულად მოზარდობის პერიოდისთვის დამახასიათებელი დაბნეულობა და კრიზისი აიძულებს ზოგიერთ მოზარდს უფრო ადვილად გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი.

¹ Impact of Labour Migration on Children Left behind in Tajikistan.” The Library of Congress;

- **კანონთან კონფლიქტში მოხვედრის რისკი²** - გაეროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის (რიადის პრინციპების) გაიდლაინების მიხედვით ემიგრაციაში მყოფი მშობლები მოზარდობის ასაკში მყოფი ბავშვებისთვის არასრულწლოვანთა დელინქენტურობის რისკ ფაქტორია. 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვანიდან 69 არასრულწლოვანის (19%) ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. აქედან 7 არასრულწლოვანის ორივე მშობელი, 36 არასრულწლოვანის - დედა და 26 არასრულწლოვანის - მამა იმყოფებოდა საზღვარგარეთ.
- **ბავშვთა ასაკში ქორწინების რისკის ზრდა** - არასრულწლოვანთა ქორწინებასთან დაკავშირებულმა თვისებრივი კვლევის დასკვნებმა აჩვენა, რომ მიგრანტების შვილები განუწყვეტლივ იღებდნენ ქორწინების წინადადებას და რიგ შემთხვევებში ისინი სოციალური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ კიდევ. ამასთან, დაცინვისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევები განსაკუთრებით მდებრობითი სქესის ბავშვების შემთხვევაში იყო. ამ ფაქტორების კუმინაცია ხშირად იწვევს მდებრობითი სქესის ბავშვების იძულებით ადრეულ ქორწინებას „მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

2. ემიგრანტი მშობლების შვილების ძირითადი საჭიროებები

მიუხედავად იმისა, მშობლები იმყოფებიან თუ არ არიან, ბავშვების საჭიროებები იგივეა. ამ საჭიროებების დაკმაყოფილება ხელს უწყობს ბავშვების ჯანსაღ განვითარებას. *იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთა მშობლები მუშაობენ საზღვარგარეთ, ზოგიერთი საჭიროება, როგორცაა სიყვარულის, მოწონების, მიმღებლობის, უსაფრთხოებისა და დაცვის საჭიროება, უფრო ძლიერია.*



დაცულობისა და უსაფრთხოდ ყოფნის საჭიროება

ეკონომიკური კეთილდღეობა არ ნიშნავს ავტომატურად ბავშვის უსაფრთხოებასა და დაცულობას ბავშვის უფლებების ჭრილში. მშობლის არყოფნის გამო ბავშვისთვის შექმნილი „თავისუფლება“ არ გულისხმობს, რომ იგი თავს კარგად და დაცულად გრძნობს. ადრეულ ასაკში ბავშვს განსაკუთრებით სჭირდება მუდმივი მეთვალყურეობა, მზრუნველობა, სტაბილური ურთიერთობები და მკაფიო, მაგრამ თბილი საზღვრები, რათა შეძლოს უსაფრთხო გარემოში განვითარება და სოციალური უნარების ჩამოყალიბება.

ამ კონტექსტში საბავშვო ბაღს ენიჭება განსაკუთრებული როლი. ბაღმა უნდა უზრუნველყოს სტაბილური, პროგნოზირებადი და ემოციურად მხარდამჭერი გარემო, რომელიც შეამცირებს ბავშვის შფოთვისა და გაურკვეველობას. აღმზრდელის თანმიმდევრული, მზრუნველი და მგრძობიარე

² “Council of Europe Recommendation Recommendation N° R (88) 6 on Social Reactions to Juvenile Delinquency among Young People Coming from Migrant Families”;

დამოკიდებულება ეხმარება ბავშვს უსაფრთხოების განცდის ჩამოყალიბებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის არყოფნის პირობებში.

♥ სიყვარულის საჭიროება

მშობლის არყოფნის პირობებში ბავშვებში განსაკუთრებით ძლიერდება სიყვარულისა და ემოციური მხარდაჭერის საჭიროება. ისინი ხშირად ეძებენ ზრდასრულს, რომელიც გამოხატავს სიბოძს, ყურადღებას და მიღებას როგორც სიტყვებით, ისე ქცევით. ადრეულ ასაკში ბავშვისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია განცდა, რომ იგი მიღებულია და დაფასებულია მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს და არა მისი ქცევის ან მიღწევების მიხედვით.

👨‍👦 მიჯაჭვულობის მოთხოვნილება

მიჯაჭვულობა გულისხმობს ბავშვის ბუნებრივ საჭიროებას, ჰქონდეს ახლო, სანდო და ემოციურად ხელმისაწვდომი ზრდასრული, რომლის მიმართაც ეძებს კონტაქტს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავს დაუცველად, შეშინებულად ან გაურკვეველად გრძნობს. ადრეულ ასაკში ეს კავშირი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოების განცდისა და ემოციური სტაბილურობისთვის.

მშობლის არყოფნის პირობებში ეს საჭიროება ხშირად უფრო ძლიერდება. ასეთ დროს საბავშვო ბაღში აღმზრდელი შეიძლება გახდეს ის მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ეხმარება ბავშვს ნდობისა და უსაფრთხოების აღდგენაში.

🗨️ კომუნიკაციის სჭიროება

ბავშვს აქვს ძლიერი საჭიროება, ჰქონდეს ღია და მხარდამჭერი კომუნიკაცია მის გარშემო არსებულ ზრდასრულებთან — იქნება ეს მშობელი, მეურვე თუ აღმზრდელი. მას სურს, რომ მოუსმინონ, გაუგონ და მიიღონ მისი ემოციები განსჯისა და კრიტიკის გარეშე.

ადრეულ ასაკში ბავშვი ყოველთვის ვერ გამოხატავს საკუთარ განცდებს სიტყვიერად, ამიტომ კომუნიკაცია ხშირად ხდება თამაშის, ქცევის და ემოციების გამოხატვის საშუალებით.

👍 მოწონების და მიღების მოთხოვნილება

ყველა ბავშვს აქვს ძლიერი საჭიროება, იგრძნოს, რომ მიღებულია, დაფასებულია და მნიშვნელოვანია. ადრეულ ასაკში ეს განცდა ყალიბდება ზრდასრულებთან ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის თავდაჯერებულობასა და პოზიტიური თვითშეფასების განვითარებაზე.


📖 წახალისების, მოტივაციისა და დაფასების საჭიროება

ბავშვის ადრეული განვითარების ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ მისი მცდელობები და მცირე წარმატებები იყოს შენიშნული და დადებითად შეფასებული. ამ ასაკში ბავშვი სამყაროს შეცნობას იწყებს ექსპერიმენტით, თამაშითა და მცდელობით, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია, იგრძნოს, რომ რასაც აკეთებს მნიშვნელოვანია და მიღებულია.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მშობლის არყოფნის პირობებში შეიძლება სწრაფად კარგავდნენ ინტერესს, უჭირდეთ კონცენტრაცია ან ნაკლებად ერთვებოდნენ აქტივობებში. მათი მცდელობების წახალისება და ძლიერი მხარეების დანახვა ეხმარება ბავშვს მოტივაციის შენარჩუნებაში, თავდაჯერებულობის გაძლიერებაში და გარემოსთან აქტიურ ურთიერთობაში.


ინფორმირებულობის საჭიროება

ადრეულ ასაკში ბავშვს სჭირდება ასაკისთვის შესაბამისი, მარტივად გასაგები ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რაც მის ცხოვრებაში ხდება. მშობლის წასვლა ბავშვისთვის ხშირად გაურკვეველობასა და შფოთვის იწვევს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მან იცოდეს რა ხდება და რა შეიცვლება მის ყოველდღიურობაში.

გახსოვდეთ	
	ბავშვის ერთ-ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუსრულებლობაც კი იწვევს ფსიქო-ემოციურ და ქცევითი დისბალანსს. ბავშვები ვერ ხვდებიან რა ხდება მათთან ემოციური თვალსაზრისით, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გამო; მათ არ აქვთ შესაბამისი უნარები, რათა გაუმკლავდნენ უარყოფით ემოციებს. ეს ემოციები გადაიქცევა შეუსაბამო რეაქციებში ან ქცევებში საკუთარი თავის და სხვების მიმართ.

საბავშვო ბაღის როლი მშობლ(ებ)ის ემიგრაციის ყველა ეტაპზე

საბავშვო ბაღი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლია ბავშვების აღზრდასა და განვითარებაში, მით უფრო, მაშინ, როდესაც ერთი ან ორივე მშობელი ემიგრაციაში იმყოფება. საბავშვო ბაღის როლი მრავალმხრივი და ეტაპობრივად განსხვავებული ხდება ემიგრაციის პროცესის თითოეულ ფაზაზე.



I

ეტაპი - მშობლის მიერ ემიგრაციის გადაწყვეტილების მიღება

ამ ეტაპზე ბავშვი ხშირად პირველად აწყდება მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც მის ემოციურ მდგომარეობაზე ძლიერ გავლენას ახდენს. თუ საბავშვო ბაღის აღმზრდელი წინასწარ არის ინფორმირებული მშობლის ემიგრაციაში წასვლის შესახებ, მას შეუძლია მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიოს ბავშვს ადაპტაციის პროცესში.

- ✓ **ბავშვისთვის მოსალოდნელი ცვლილებების ახსნა** – ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მარტივი და ხელმისაწვდომი ფორმით ახსნან, თუ რატომ მიდის მშობელი და რა შეიცვლება ბავშვის ცხოვრებაში.
- ✓ **ემოციური მხარდაჭერა** – დაეხმაროს ბავშვს შიშისა და გაურკვევლობის შემცირებაში, აღიაროს მისი ემოციები და შექმნას განცდა, რომ იგი მარტო არ არის და ბავშვი ჰყავს სანდო ზრდასრული.
- ✓ **მეურვესთან/ოჯახთან თანამშრომლობა** – გაუზიაროს რეკომენდაციები, როგორ ესაუბრონ ბავშვს ცვლილებებზე, როგორ შეუნარჩუნონ სტაბილურობა და როგორ უზრუნველყონ ბავშვისთვის უსაფრთხო და პროგნოზირებადი გარემო.

II

ეტაპი: მშობლის წასვლის მომენტი

ადრეულ ასაკში ბავშვები ასეთ ცვლილებებს ხშირად გამოხატავენ ქცევის საშუალებით, რადგან ჯერ არ აქვთ საკმარისი უნარები, რომ სიტყვიერად გადმოსცენ საკუთარი განცდები. ეს შეიძლება გამოვლინდეს ტირილით, ზრდასრულზე გადაჭარბებული მიჯაჭვულობით, გაღიზიანებით, გაბუტვით ან ჩაკეტილობით.

- ✓ **ბავშვის ყოველდღიურობის სტაბილურობა** – რუტინის შენარჩუნება, რაც ბავშვს სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას უჩენს.
- ✓ **ბავშვის ემოციების მართვა** – ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი გრძნობები თამაშით, საუბრით ან სხვა ფორმით. აღმზრდელმა უნდა აღიაროს ეს ემოციები („ახედავ, რომ გენატრება“) და შექმნას თბილი, უსაფრთხო სივრცე.
- ✓ **ადაპტაციაში დახმარება** – დაეხმაროს ბავშვს ცვლილებასთან შეგუებაში, მათ შორის მშობელთან კავშირის შენარჩუნების ხელშეწყობით (მაგალითად, ნახატების გაგზავნა, ხმოვანი ან ვიდეო შეტყობინებები მეურვის დახმარებით).

III

ეტაპი: მშობლის არყოფნა

ეს ფაზა ყველაზე ხანგრძლივია და სკოლას განსაკუთრებული ამოცანები აკისრია:

- ✓ **ბავშვის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის დაკვირვება** – აღმზრდელი რეგულარულად უნდა დააკვირდეს (*დაკვირვება, დალოდება, აქტიური (გულისყურით) მოსმენა, ადრეული განათლების კურიკულუმი - „თამაში“*) ბავშვის ქცევას, ჩართულობასა და ემოციურ მდგომარეობას, რათა დროულად შენიშნოს სირთულეები და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.
- ✓ **ბავშვის ჩართვა აქტივობებში** – მნიშვნელოვანია ისეთი თამაშზე დაფუძნებული აქტივობების შეთავაზება, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ჩართულობას, სოციალური ურთიერთობების განვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენას.

- ✓ **ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სწავლება** – ასაკისა და განვითარების შესაბამისი, ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების მოტივაციისა და თავდაჯერებულობის ზრდას, რაც აუცილებელია როგორც სოციალური, ისე აკადემიური წარმატებისთვის.
- ✓ **მშობლებთან კავშირის ხელშეწყობა** – შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვისა და მშობლის შორის კონტაქტის შენარჩუნებას (მაგალითად, ვიდეოზარები, ხმოვანი შეტყობინებები, ნახატების გაზიარება).
- ✓ **მეურვეების ჩართულობა** – აღმზრდელმა უნდა ითანამშრომლოს იმ პირთან, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს ბავშვზე, გააზიაროს დაკვირვებები და რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრული და სტაბილური ზრუნვა.

IV

ეტაპი: მშობლის დაბრუნება

მშობლის დაბრუნება ბავშვისთვის ხშირად სიხარულთან ერთად ახალი ცვლილებების ეტაპსაც წარმოადგენს. ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს შერეული ემოციები და დასჭირდეს დრო, რათა კვლავ მოერგოს მშობელთან ახლო ურთიერთობას.

საბავშვო ბაღის აღმზრდელის როლი ამ ეტაპზე მოიცავს:

- ✓ **ბავშვს დაეხმარონ ემოციების მართვაში** - დაეხმაროს ბავშვს საკუთარი გრძნობების ამოცნობასა და გამოხატვაში, მიიღოს როგორც სიხარული, ისე დაბნეულობა ან შფოთვა, და შეუქმნას უსაფრთხო სივრცე ამ ემოციების გასაზიარებლად.
- ✓ **შეუწყონ ხელი ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის აღდგენას** - მხარი დაუჭიროს ბავშვსა და მშობელს შორის კავშირის ეტაპობრივი აღდგენა, გააზიაროს რეკომენდაციები ოჯახთან, როგორ გაატარონ დრო ერთად და როგორ დაუბრუნდნენ ნდობით სავსე ურთიერთობას.
- ✓ **გამოწვევების იდენტიფიცირება** – დააკვირდეს ბავშვის ქცევასა და ემოციურ რეაქციებს, რათა დროულად შენიშნოს ისეთი გამოწვევები, როგორცაა დაბნეულობა, ემოციური დისტანცია ან ქცევითი ცვლილებები.

4. მიგრანტი მშობლების შვილების ემოციური მდგომარეობა და საბავშვო ბაღის პროფესიონალების როლი

ბავშვთა ემოციური მდგომარეობის უკეთ გასაგებად და მათი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, პროფესიონალებმა, მათ შორის, საბავშვო ბაღის პერსონალმა, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები და მიდგომები:

4.1. ბავშვებისა და მშობლების მიმართ ნეიტრალური მიდგომა

აღმზრდელის მთავარი ამოცანაა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ბავშვი თავს დაცულად, მიღებულად და მხარდაჭერილად იგრძნობს. ნეიტრალური მიდგომა ნიშნავს არა უყურადღებობას, არამედ ემპათიურ, ობიექტურ და მზრუნველ დამოკიდებულებას ბავშვისა და მისი ოჯახის მიმართ.

ადრეულ ასაკში ბავშვებს ხშირად უჭირთ საკუთარი განცდების სწორად გააზრება და შესაძლოა გაუჩნდეთ დანაშაულის გრძნობა — იფიქრონ, რომ მშობლის წასვლა მათთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა მარტივი და მხარდამჭერი ფორმით აუხსნას ბავშვს, რომ მშობლის ემიგრაცია დაკავშირებულია ოჯახის საჭიროებებთან და ეს არანაირად არ არის მისი ბრალი.

ასევე მნიშვნელოვანია სტიგმის თავიდან აცილება. ბავშვი არ უნდა გამოიყენებოდეს ისეთი აღნიშვნები, როგორცაა „მიტოვებული ბავშვი“. პირიქით, აუცილებელია გაძლიერდეს მესიჯი, რომ მშობელი მუშაობს და ზრუნავს ბავშვის უკეთესი მომავლისთვის.

ნეიტრალური და თანაგრძნობაზე დაფუძნებული მიდგომა ხელს უწყობს ბავშვსა და აღმზრდელს შორის ნდობის ჩამოყალიბებას, რაც ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

პროფესიონალის ამოცანა	აღწერა
ნდობისა და ემპათიის შენარჩუნება	ბავშვთან და მის მეურვესთან ურთიერთობისას პროფესიონალმა უნდა გამოიყენოს არაგანსჯითი და ემპათიური მიდგომა.
სტიგმის პრევენცია	პროფესიონალები უნდა ებრძოდნენ სტიგმას, რომელიც ბავშვებმა, შესაძლოა, განიცადონ საზოგადოებაში. უნდა გაუსვან ხაზი, რომ ემიგრაცია ოჯახის უკეთესი მომავლისთვისაა.
ნეიტრალური და ობიექტური მიდგომის შენარჩუნება	პროფესიონალმა უნდა თავი შეიკავოს მშობლების კმედებების განსჯისგან და ფოკუსირება მოახდინოს ბავშვის საჭიროებებსა და განვითარებაზე.
მხარდამჭერი გარემოს შექმნა	უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ბავშვს დაეხმარება სტრესისა და გაურკვევლობის შემცირებაში.
განათლება და ცნობიერების ამაღლება	მშობლებთან ან მეურვეებთან თანამშრომლობით, პროფესიონალებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, როგორ დაიცვან და მხარი დაუჭირონ ბავშვებს ემიგრაციის პერიოდში.

რა არის ემპათია?

ემპათია დაბალანსებული ცნობისმოყვარეობაა რომელსაც მივყავართ მეორე ადამიანის სიღრმისეულ გაგებამდე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემპათია არის უნარი გავიგოთ სხვა ადამიანის გამოცდილება იმ ადამიანის თვალსაზრისიდან და პერექტივიდან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ემპათია არის უნარი „სხვის ფეხსაცმელებში ჩავდგეთ“.

ამგვარად ემპათიას შემდეგი კომპონენტები აქვს:

- ა) სხვა ადამიანის ფეხსაცმელების ჩაცმა
- ბ) სხვა ადამიანის თვალსაზრისით დანახვა
- გ) სხვა ადამიანის გრძნობების გაგება და განცდა
- დ) უნარი რომ ეს გაგება გადასცეს მეორე ადამიანს ქმედებით ან სიტყვებით.
- ე) არა განსჯითი დამოკიდებულება და არც დათანხმება, არც უარყოფა, უბრალოდ მეორე ადამიანის და მისი ქცევის მიღება
- ვ) საკითხის საკუთარ თავზე არ აღება.

საბავშვო ბაღის გარემოში ემპათია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხმარება აღმზრდელს:

- ბავშვის ქცევის უკან მდგომი ემოციების ამოცნობაში
- ბავშვის მიღებაში მისი ინდივიდუალობის გათვალისწინებით
- სანდო და უსაფრთხო ურთიერთობის ჩამოყალიბებაში

ემპათიური მიდგომა ამცირებს კონფლიქტებს, აძლიერებს ურთიერთობებს და ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ და სოციალურ განვითარებას.

თანაგრძნობა (Sympathy)	ემპათია (Empathy)
ფოკუსირდება ძირითადად სიბრალეულზე ან შეცოდებაზე	მოიცავს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ემოციების გაგებას
არ ნიშნავს სხვისი განცდების სრულად გაზიარებას	გულისხმობს სხვისი განცდების გაზიარებას და გაგებას
ხშირად მოიცავს დისტანციას („მეცოდები“)	ეფუძნება არაგანსჯით დამოკიდებულებას
რეაგირებს მხოლოდ გარკვეულ ასპექტებზე	ცდილობს სრულად გაიგოს ადამიანის შინაგანი მდგომარეობა
შეიძლება შეიცავდეს შეფასებას ან განსჯას	აქტიური მოსმენა და სრულყოფილი პასუხი
ურთიერთობაში ქმნის განცდას, რომ ერთი „ზემოდან უყურებს“ მე	ქმნის თანასწორ ურთიერთობას — „მის ადგილზე ყოფნის“ განცდას

ემპათიის რუკის გამოყენება მიგრანტი მშობლების შვილებისთვის

ემპათიის რუკა წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება ბავშვის ემოციური მდგომარეობის, ქცევისა და საჭიროებების უკეთ გასაგებად, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, მათ შორის მშობლის ემიგრაციას.

რუკის გამოყენება დაეხმარება აღმზრდელს:

- ქცევის უკან მდგომი ემოციების ამოცნობაში
- ბავშვის გამოცდილების გააზრებაში მისი პერსპექტივიდან
- შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვასა და განხორციელებაში

გამოყენების ეტაპები

ეტაპი 1: დაკვირვება

აღმზრდელი ბავშვს უნდა დააკვირდეს ბუნებრივ გარემოში, ყოველდღიური აქტივობების დროს. ყურადღება უნდა მიექცეს:

- ბავშვის ჩართულობას თამაშსა და აქტივობებში
- ურთიერთობებს თანატოლებთან და ზრდასრულებთან
- ემოციურ რეაქციებს
- ქცევით ცვლილებებს

დაკვირვება უნდა იყოს ობიექტური და ფაქტებზე დაფუძნებული, შეფასებებისა და ინტერპრეტაციების გარეშე.

ეტაპი 2: რუკის შევსება

ემპათიის რუკის თითოეული სექცია ივსება დაკვირვების საფუძველზე:

- ? **რას ხედავს ბავშვი** - აღწერეთ ბავშვის გარემო, ყოველდღიური გამოცდილება და ის ცვლილებები, რომლებიც მის ცხოვრებაში ხდება.
- ? **რას ისმენს** - დააფიქსირეთ, რა მესიჯებს იღებს ბავშვი ოჯახისა და გარემოსგან.
- ? **რას ფიქრობს და გრძნობს** - ეცადეთ განსაზღვროთ ბავშვის ემოციური მდგომარეობა და შინაგანი განცდები.
- ? **რას ამბობს და როგორ იქცევა** - დააფიქსირეთ ბავშვის ქცევითი გამოვლინებები და რეაქციები.
- ? **რა არის მისი საჭიროებები** - განსაზღვრეთ ბავშვის ძირითადი ემოციური და სოციალური საჭიროებები.

რა სირთულეებს აწყდება - გამოავლინეთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ბავშვის კეთილდღეობას და ადაპტაციას.

ეტაპი 3: ანალიზი

შევსებული რუკის საფუძველზე უნდა მოხდეს ინფორმაციის გაანალიზება. აუცილებელია განისაზღვროს:

- ქცევის უკან მდგომი ძირითადი ემოცია
- ბავშვის მთავარი საჭიროებები

ეტაპი 4: დაგეგმვა

რუკის საფუძველზე უნდა განისაზღვროს კონკრეტული მხარდაჭერის ნაბიჯები. ეს შეიძლება მოიცავდეს:

- ინდივიდუალური ყურადღების გაზრდას
- ემოციების აღიარებასა და სახელდებას
- თამაშზე დაფუძნებულ ჩართულობას
- სტაბილური გარემოს უზრუნველყოფას
- მშობელთან ან მეურვესთან კომუნიკაციის ხელშეწყობას

ეტაპი 5: მონიტორინგი

აღმზრდელმა უნდა გააგრძელოს დაკვირვება და პერიოდულად განაახლოს ემპათიის რუკა. რეკომენდებულია შეფასება მოხდეს რეგულარულად, მაგალითად ორ კვირაში ერთხელ, რათა გამოვლინდეს პროგრესი ან ახალი საჭიროებები.

ძირითადი პრინციპები

ემპათიის რუკის გამოყენებისას მნიშვნელოვანია:

- კონფიდენციალურობის დაცვა
- შეფასებისა და განსჯისგან თავის შეკავება
- ბავშვის მიმართ ემპათიური და მხარდამჭერი დამოკიდებულება

გახსოვდეთ



ბავშვის ქცევა უნდა აღქმული იყოს როგორც მისი ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და არა როგორც პრობლემა. ემპათიის რუკა ხელს უწყობს ბავშვის საჭიროებების სწორად გააზრებას და ქმნის საფუძველს მიზნობრივი და ეფექტური მხარდაჭერისთვის.

ემპათიის რუკა – შაბლონი

ბავშვის სახელი _____

ასაკი: _____

აღმზრდელი: _____

თარიღი _____



რას ხედავს ბავშვი?
(გარემო, ადამიანები,
ცვლილებები)



რას ისმენს?
(რა ეუბნებიან
ზრდასრულები)



რას ფიქრობს და გრძნობს?
(ემოციები, შიშები,
განცდები)



რას ამბობს და როგორ
იქცევა?
(ძვევა, რეაქციები, თამაშში მონაწილეობა)



რა არის მისი საჭიროებები?
უსაფრთხოება, სიყვარული,
ყურადღება, მხარდაჭერა)



რა სირთულეებს აწყდება?
(ადაპტაცია, ემოციური სირთულეები)



რეკომენდებული მოქმედებები

დაკვირვება დროში

4.1.1. რესპონსული კომუნიკაცია

რესპონსული კომუნიკაცია გულისხმობს ბავშვის სიგნალებზე — ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია, ქცევა ან სხეულის ენა — დროულ, მგრძობიარე და შესაბამის რეაგირებას. იგი ეფუძნება ყურადღებთან მოსმენას, ბავშვის ემოციების შემჩნევას და აღიარებას და ისეთი პასუხის გაცემას, რომელიც ეხმარება ბავშვს საკუთარი გამოცდილების გააზრებაში და უსაფრთხოების განცდის ჩამოყალიბებაში.

მშობლის ემიგრაციის პირობებში ბავშვები ხშირად ვერ გამოხატავენ საკუთარ განცდებს პირდაპირ და მათი ემოციური მდგომარეობა ვლინდება ქცევით, თამაშით ან ფიზიკური ნიშნებით. ამავდროულად, მშობელი ბუნებრივად არის ის ადამიანი, რომელიც ყველაზე უკეთ ამოიცნობს ბავშვის სიგნალებს, ესმის მისი ემოციები და შესაბამის რეაგირებას ახდენს. მშობლის არყოფნის შემთხვევაში ბავშვი სწორედ ასეთ მგრძობიარე და კომუნიკაციის დანაკლისს განიცდის. ასეთ დროს რესპონსული კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი საშუალებას აძლევს აღმზრდელს ნაწილობრივ შეავსოს ეს დანაკლისი, სწორად აღიქვას ბავშვის საჭიროებები და უზრუნველყოს შესაბამისი ემოციური მხარდაჭერა.

რესპონსული კომუნიკაცია საბავშვო ბაღის გარემოში მოიცავს:

- აქტიურ და გულისხმიერ მოსმენას — ბავშვის მიმართ სრული ყურადღების მიქცევას, მისი შეწყვეტის ან შეფასების გარეშე.
- ემოციების აღიარებას და სახელდებას — მაგალითად: „ვხედავ, რომ მოწყენილი ხარ“;
- არაგანსჯით და მხარდამჭერ ენას — ბავშვის განცდების მიღებას კრიტიკისა და შეფასების გარეშე;
- რეაგირების თანმიმდევრულობას — ბავშვისთვის პროგნოზირებადი და სანდო ურთიერთობის შექმნას;
- დროის მიცემას — ბავშვისთვის სივრცის დატოვებას, დალოდებას საკუთარი აზრებისა და ემოციების გამოსახატად;

რესპონსული კომუნიკაცია აძლიერებს ბავშვსა და აღმზრდელს შორის ნდობას, ამცირებს შფოთვისას და ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ რეგულაციასა და სოციალურ განვითარებას.

4.1.2. თამაში, როგორც ბავშვის განვითარების და მხარდაჭერის ძირითადი საშუალება

ადრეულ ასაკში თამაში არ არის მხოლოდ გასართობი აქტივობა — იგი წარმოადგენს ბავშვის სწავლის, განვითარების და თვითგამოხატვის ძირითად საშუალებას. ადრეული განათლების კურიკულუმის მიხედვით, თამაში არის ის კონტექსტი, სადაც ბავშვი იკვლევს სამყაროს, ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს და ავითარებს ემოციურ, კოგნიტურ, ფიზიკურ და კომუნიკაციურ უნარებს. ამავდროულად, თამაში წარმოადგენს ბავშვის კეთილდღეობის, ჩართულობისა და ჰოლისტური განვითარების საფუძველს და არა დამატებით ან მეორეხარისხოვან აქტივობას.

აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს თამაშად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოიცავს შემდეგ ძირითად ნიშნებს:

- ეფუძნება ბავშვის ინტერესსა და შინაგან მოტივაციას (ბავშვი ერთვება საკუთარი სურვილით და სიამოვნებით)
- იწვევს ხალისს და ემოციურ ჩართულობას
- უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებას
- ეფუძნება ბავშვის ინიციატივას და აქტიურ მონაწილეობას
- არის პროცესზე ორიენტირებული (და არა მხოლოდ შედეგზე)
- მოიცავს სიმბოლოებსა და წარმოსახვით თამაშს
- იძლევა ექსპერიმენტირების და სცდის შესაძლებლობას „შეცდომის შიშის გარეშე“
- მიმდინარეობს უსაფრთხო, მხარდამჭერ და არაშემფასებელ გარემოში

სწორედ ასეთ პირობებში ხდება ბავშვის ბუნებრივი სწავლა, თვითგამოხატვა და კეთილდღეობის მხარდაჭერა.

თამაში წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ბავშვის ემოციური მდგომარეობაზე დაკვირვებისთვის. ხშირად ბავშვი ვერ გამოხატავს საკუთარ განცდებს სიტყვიერად ან ქცევაში, თუმცა თამაშში მისი ემოციები, შიშები და გამოცდილებები უფრო მკაფიოდ ვლინდება. დაკვირვება თამაშის პროცესზე ეხმარება აღმზრდელს აღმოაჩინოს ის, რაც სხვა ფორმით შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს.

ამავე დროს თამაში თავადაც წარმოადგენს მხარდაჭერის ეფექტურ გზას. თამაშის საშუალებით შესაძლებელია ბავშვის ემოციური გაძლიერება, უსაფრთხოების განცდის გაძლიერება და ურთიერთობის გამყარება. შესაბამისად, მიზანმიმართულად დაგეგმილი და ბავშვის ინტერესებზე მორგებული თამაში არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა როგორც ბავშვის საჭიროებების დასანახად, ისე მისი მხარდასაჭერად.

4.2. ბავშვთა ფსიქოსოციალური უნარების გათვალისწინება

სკოლამდელ ასაკში ბავშვები აქტიურად სწავლობენ ემოციების ამოცნობას, გამოხატვასა და რეგულაციას. ამ პროცესში ისინი ეტაპობრივად იძენენ იმ უნარებს, რომლებიც ეხმარებათ ცვლილებებთან ადაპტაციასა და გარემოსთან ურთიერთობაში. მშობლის ემიგრაციასთან დაკავშირებული გამოცდილება შეიძლება ამ პროცესს დამატებით ემოციურ დატვირთვას აძლევდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვი განიცდის მონატრებას, სევდას, გაურკვევლობას ან შფოთვას.

ამ ასაკში ბავშვებისთვის ბუნებრივად შეიძლება იყოს რთული:

- **დროის აღქმა** - ბავშვები ჯერ სწავლობენ დროის გაგებას, რის გამოც მშობლის არყოფნის ხანგრძლივობა მათთვის ხშირად გაურკვეველია, რაც აძლიერებს მონატრებასა და შფოთვას.
- **ემოციების რეგულაცია** - ბავშვები სწავლობენ საკუთარი ემოციების ამოცნობასა და გამოხატვას. ინტენსიური განცდები შესაძლოა გამოიხატოს ქცევით, რადგან ამ ასაკში ემოციების სიტყვიერად გადმოცემა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია .

ამ პროცესში საბავშვო ბავშვი წარმოადგენს მნიშვნელოვან სივრცეს, სადაც ბავშვი იღებს გამოცდილებას, სწავლობს და ავითარებს ფსიქოსოციალურ უნარებს მხარდამჭერ გარემოში.

პროფესიონალის როლი	აღწერა
ემოციების მართვის უნარების განვითარება	ბავშვებისთვის უნდა შეიქმნას აქტივობები და თამაშები, რომლებიც დაეხმარება მათ ემოციების გაცნობიერებასა და მართვაში. მაგალითად: არტ-თერაპია, როლური თამაშები
სტრესის დაძლევის მხარდაჭერა	პროფესიონალებმა ბავშვებთან უნდა განახორციელონ სტრესის მართვის ტექნიკები, როგორცაა სუნთქვითი ვარჯიშები და დამამშვიდებელი რუტინები
მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა	ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა რეგულარულად ესაუბრონ მშობლებთან, თუნდაც ვირტუალური გზით, მაგალითად, ვიდეოზარებით ან წერილებით.
დამხმარე და უსაფრთხო გარემოს შექმნა	ბავშვები უნდა გრძნობდნენ, რომ მათი ემოციები აღიარებულია და მიღებულია. საბავშვო ბაღში უნდა არსებობდეს „გრძნობების კუთხე“.
ბავშვის უნიკალურ საჭიროებებზე ორიენტირება	პროფესიონალებმა უნდა შეიმუშავონ ინდივიდუალური მიდგომები თითოეული ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით.

4.3. ინდივიდუალური ემოციური რეაქციების გათვალისწინება

ბავშვები მშობლების არყოფნას განსხვავებულად განიცდიან, რაც დამოკიდებულია მათ ასაკზე, პიროვნებაზე, გარემოზე და ემოციურ მხარდაჭერაზე. პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თითოეული ბავშვის ემოციური რეაქცია უნიკალური და ნორმალურია, მიუხედავად იმისა, თუ როგორია გამოხატვის ფორმა. ეს გაგება საშუალებას აძლევს პროფესიონალებს, შექმნან ინდივიდუალურად მორგებული მიდგომები თითოეული ბავშვისთვის.

ემოციური რეაქცია	რა ვლინდება?	პროფესიონალის როლი
ინტროვერსია (სევდა და თვითიზოლაცია)	ბავშვები შეიძლება გახდნენ ჩუმები, მორცხვები და განმარტოებულები. ხშირად ერიდებიან აქტივობებსა და თანატოლებთან ურთიერთობას.	ბავშვთან ნდობის დამყარება, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვა, სოციალური ურთიერთობების წახალისება.
აგრესია (გაღიზიანება ან ნერვიულობა)	ბავშვები ხშირად გამოხატავენ გაღიზიანებას, უარს ამბობენ წესების დაცვაზე ან ავლენენ აგრესიულ ქცევას სხვების ან სათამაშოების მიმართ.	ბავშვის ქცევის მიზეზების გაგება, ალტერნატიული გზების სწავლება ემოციების გამოხატვისთვის, მაგალითად, არტ-თერაპია.
პროტესტი (აჯანყება სხვების წინააღმდეგ)	ბავშვები უარს ამბობენ წესების დაცვაზე, აჯანყდებიან ავტორიტეტების წინააღმდეგ, ან აქტიურად ავლენენ პროტესტს.	ბავშვის პროტესტის გაგება, ემოციების მართვის უნარების სწავლება, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

4.4. იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება

იმედგაცრუება და ადრეული მომწიფება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მშობლის ემიგრაციის კონტექსტში ხშირად ვლინდება როგორც განვითარების ბუნებრივი პასუხი გაურკვევლობასა და სირთულეებზე. პროფესიონალების მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყონ ბავშვის ემოციურ და ასაკობრივად შესაბამის განვითარებას, შექმნან მხარდაჭერი და სტაბილური გარემო და დაიცვან ბავშვები ზედმეტი ემოციური ტვირთისგან. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ გაამყარებს

ბავშვის ფსიქო-სოციალურ განვითარებას, არამედ ხელს ხელს შეუწყოს ბავშვის ასაკთან შესაბამისი განვითარების პროცესის აღდგენას.

კატეგორია	შედეგები და გამოვლინება	მაგალითები/დეტალები
იმედგაცრუება ბავშვებში		
ემოციური რეაქციები	ბავშვი შეიძლება გახდეს გულჩათხრობილი, სევდიანი ან მარტოსული.	ბავშვი ხშირად ტირის და წუწუნებს უმნიშვნელო მიზეზების გამო.
	გალიზიანება და უკმაყოფილება გარემოს ან ადამიანების მიმართ.	ბავშვი ხშირად ბრახდება და უარს ამბობს აქტივობებში მონაწილეობაზე.
ქცევითი ცვლილებები	უარყოფითი ქცევები, როგორცაა აგრესია სათამაშოებთან ან სხვებთან მიმართებაში.	ბავშვი ხშირად ეჩხუბება თანატოლებს ან ცდილობს სათამაშოების დაზიანებას.
	ინტერესის დაკარგვა ყოველდღიური აქტივობების მიმართ.	ბავშვს აღარ აინტერესებს თავისი საყვარელი თამაშები ან საქმიანობები.
სომატური სიმპტომები	ძილის დარღვევები, მადის დაკარგვა ან მუცლის ტკივილები, რაც სტრესზე რეაქციის ნაწილია.	ბავშვი უჩივის ცუდ ძილს ან საკვების მიღებაზე უარს აცხადებს.
ადრეული მომწიფება		
მშობლების „როლი ჩამორთმევა“	ბავშვები იძულებულნი არიან, უფროსების პასუხისმგებლობები იტვირთონ.	მაგალითი: „მინდა დედას დავეხმარო, რომ მან მალე დაბრუნება შეძლოს.“
განვითარებითი როლი	ბავშვები იღებენ პასუხისმგებლობას პატარა ძმებისა ან დების მოვლაზე და ზედმეტად მზრუნველები ხდებიან.	მაგალითი: ბავშვი ეხმარება თავის პატარა ძმას ან დებს ყოველდღიური საქმიანობების დროს.
გადაჭარბებული პასუხისმგებლობა	ბავშვს უჩნდება მოტივაცია, რომელიც მის ასაკს აღემატება, ხშირად ემოციური კავშირის შესანარჩუნებლად.	მაგალითი: „მე კარგად ვიქცევი, რომ დედამ ჩემით იამაყოს.“

4.5. დაუცველობის განცდა

ბავშვთა უმეტესობა, რომელთა მშობლები უცხოეთში არიან, თავს დაუცველად გრძნობს. ეს განცდა გამოწვეულია იმით, რომ მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია და არ ჰქონიათ გააზრების შესაძლებლობა თურატომ დატოვეს მშობლებმა ისინი, როდის დაბრუნდებიან ან როგორი იქნება მათი ცხოვრების ახალი რუტინა. განცდა ხშირად ვლინდება შიშის, დაბნეულობისა და ხანგრძლივი სტრესის სახით. ამ ემოციებს, თუ სათანადო ყურადღება არ დაეთმობა, შეუძლიათ ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და მათი ნდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის გრძნობის შესუსტება.

ბავშვები ხშირად გრძნობენ, რომ მათ გვერდით აღარ არის ის ადამიანი, ვისაც შეიძლება სრულად დაეყრდნონ, ვისი მხარდაჭერის და დახმარების იმედი მუდამ აქვთ და ვინც მათთან ერთად გაუმკლავდება ცხოვრების სირთულეებს. ეს გარემოებები აძლიერებს მათი ემოციური დისბალანსისა და შფოთვის განვითარების რისკს. პროფესიონალების, განსაკუთრებით კი საბავშვო ბაღის პერსონალის, როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდის აღდგენაში.

პროფესიონალთა მთავარი ამოცანაა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ბავშვები იგრძნობენ თავს დაცულად, აღიარებულად და უსაფრთხოდ. ასეთი გარემო არა მხოლოდ ამცირებს სტრესს და შიშს, არამედ ეხმარება ბავშვს, განვიითაროს ნდობა და ემოციური სტაბილურობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისთვის.

ეს არ არის მხოლოდ პასუხისმგებლობა, არამედ შესაძლებლობა – დაეხმარონ ბავშვებს დაამყარონ ძლიერი საფუძვლები ბედნიერი და წარმატებული მომავლისთვის, მიუხედავად მშობლის დროებითი არყოფნისა.

დაუცველობის ფაქტორები	გამომწვევი	რა ვლინდება?	პროფესიონალის როლი
მშობლის არყოფნის შიში		ბავშვებში ჩნდება შიში, რომ მშობელი აღარ დაბრუნდება, რაც იწვევს სტრესსა და ემოციურ დისბალანსს.	ბავშვებთან საუბარი მშობლის დაბრუნების გარანტიაზე, უსაფრთხოების განცდის გაძლიერება.
ემოციური ნაკლებობა	მხარდაჭერის	ბავშვები გრძნობენ, რომ მარტო არიან ან მათ არ ჰყავთ ის, ვინც მათ საჭიროებებზე იზრუნებს.	მშვილბლის ან მეურვის ჩართულობის გაძლიერება, ემოციური მხარდაჭერის პირდაპირი უზრუნველყოფა.
უცნობ ადაპტაცია	გარემოსთან	ბავშვებს უჭირთ ახალ გარემოსთან ან ახალ მეურვესთან შეგუება, რაც აძლიერებს დაუცველობის განცდას.	სტაბილური და მომყოლი რუტინების შექმნა, ბავშვის ნდობის მოპოვება.
სოციალური იზოლაცია		ბავშვებს უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა ან გრძნობენ თავს გარიყულად.	სოციალური ინტერაქციის წახალისება, ჯგუფური აქტივობების ორგანიზება.

5. პრაქტიკული აქტივობები

➔ პრაქტიკული აქტივობები ემოციების მართვის მხარდასაჭერად

სუნთქვითი ვარჯიში




მიზანი - ბავშვების დამშვიდება, ემოციების რეგულაცია და ყურადღების კონცენტრაციის გაუმჯობესება

აქტივობის შესრულების პრაქტიკული ინსტრუქცია აღმზრდელ-პედაგოგისთვის

როგორ მოვამზადოთ გარემო

- ✓ შეარჩიეთ მშვიდი და უსაფრთხო სივრცე ჯგუფში
- ✓ დასვით ბავშვები კომფორტულად (იატაკზე ბალიშებზე ან სკამებზე)
- ✓ შექმენით მშვიდი ატმოსფერო (შეგიძლიათ გამოიყენოთ ნაზი მუსიკა ან ბუნების ხმები)
- ✓ უთხარით ბავშვებს:
„ახლა გვექნება მშვიდი დრო, როცა დავისვენებთ და ერთად ვისუნთქებთ“



ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქცია

1. ყურადღების მიმართვა

- უთხარით ბავშვებს: „ახლა ცოტა ხნით გავჩერდეთ და ჩვენს სუნთქვას დავაკვირდეთ“

2. სხეულის პოზიცია

უთხარით ბავშვებს: *რომ შეუძლიათ დახუჭონ თვალები, სურვილის შემთხვევაში და:*

- ზურგი სწორად, მაგრამ მოდუნებულად
- ხელები მუხლებზე ან მუცელზე

3. სუნთქვაზე კონცენტრაცია

- უთხარით: „დააკვირდით, როგორ შედის ჰაერი ცხვირით და როგორ გამოდის ისევ გარეთ“

შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელიც:

„დადეთ ხელი მუცელზე და ვიგრძნოთ, როგორ იწევს და იკლებს“


4. ნელი სუნთქვის რიტმი (მარტივი მეთოდი)

აღმზრდელმა მშვიდი ტონით წარმართოს სუნთქვა:

- ჩავისუნთქოთ ცხვირით — 4 დათვლაზე
- გავჩერდეთ — 2 დათვლაზე
- ამოვისუნთქოთ პირით — 6 დათვლაზე

აღმზრდელმა შეიძლება ხმამაღლა და ნელა დათვალოს:

„ერთი... ორი... სამი... ოთხი...“



5. ვიზუალიზაციის დამატება (სურვილისამებრ)

სუნთქვის პროცესის გასამარტივებლად გამოიყენეთ თამაშის ელემენტები:

• ბუშტის ტექნიკა

„წარმოიდგინეთ, რომ ბუშტს ვბერავთ — ნელა ვავსებთ... და ნელა ვუშვებთ ჰაერს“

• გველის ტექნიკა

„ახლა ამოვისუნთქოთ და გავაკეთოთ გველის ხმა — სსსსს... ნელა და მშვიდად“

• ფუტკრის ტექნიკა

„ამოვისუნთქოთ და გავაკეთოთ ფუტკრის ხმა — ბზზზზ... თითქოს პატარა ფუტკრები ვართ“

6. ხანგრძლივობა

- 2–5 წუთი საკმარისია (პატარა ბავშვებისთვის 1–2 წუთიც ეფექტურია)

როგორ დავასრულოთ

- უთხარით: „ახლა ნელა დავბრუნდეთ ჩვენს გარემოში“

- სთხოვეთ ბავშვებს გაახილონ თვალები და გააზიარონ, როგორ იგრძნეს თავი (სურვილის შემთხვევაში)

პრაქტიკული რჩევები აქტივობისთვის

- ✓ გამოიყენეთ ყოველდღიურად (მაგალითად, დილის წრეში ან დამაბული მომენტის შემდეგ)
- ✓ არ აიძულოთ ბავშვები — მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი
- ✓ გამოიყენეთ მარტივი, თბილი და მშვიდი ხმა
- ✓ გამოიყენეთ თამაშის ელემენტები (ბუშტი, ყვავილი, სანთელი)
- ✓ შეგიძლიათ დაამატოთ რბილი მუსიკა ან ბუნების ხმები

↪ სხვა აქტივობები

„ემოციური რუკა“ – ბავშვმა შეიძლება დახატოს ან აღწეროს, როგორ გრძნობს თავს ყოველდღიურად. ეს დაეხმარება მასწავლებელს, შეამჩნიოს შესაძლო ცვლილებები და დროულად ჩაერიოს.


„ფოსტის ყუთი მშობლისთვის“ – მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს ბავშვს, დახატოს ნახატები მშობლისთვის, რაც დაეხმარება მას ემოციების გამოხატვაში.


„თანამშრომლობის წრე“ – ბავშვებმა შეიძლება ერთმანეთთან გაიზიარონ საკუთარი გრძნობები და გამოცდილებები, რაც დაეხმარებათ, გაიგონ, რომ მართო არ არიან.

„5-4-3-2-1 დამიწების ვარჯიში“

ეს ტექნიკა ეხმარება ბავშვებს შფოთვის, დამაბულობის ან გადატვირთვის დროს

„აქ და ახლა“-ში დაბრუნებაში სენსორული აღქმის გამოყენებით.

 მიზანი - ემოციების რეგულაცია, ყურადღების კონცენტრაცია, შფოთვის შემცირება.



ინსტრუქცია აღმზრდელისთვის

1. შესავალი
 უთხარით ბავშვებს: „ახლა ვითამაშებთ პატარა თამაშს, რომელიც დაგვეხმარება დავმშვიდდეთ და დავბრუნდეთ ჩვენს გარემოში“

ნაბიჯები

5 — რაც ხედავ
 „დაასახელო 5 რამ, რასაც ახლა ხედავ შენ გარშემო“, მაგ: მაგიდა, ფანჯარა, წიგნი...)

4 — რასაც ეხები

„დაასახელე 4 რამ, რასაც შეგიძლია შეეხო“, (მაგ: ტანსაცმელი, სკამი, იატაკი...)

3 — რასაც ისმენ

„დაასახელე 3 ხმა, რასაც ახლა გესმის“ (მაგ: ქარის ხმა, კლასის ხმაური...)

2 — რასაც ყნოსავ

„დაასახელე 2 სუნი, რასაც გრძნობ“, (თუ რთულია, შეგიძლიათ წარმოიდგინონ საყვარელი სუნი)

1 — რასაც აგემოვნებ

„დაასახელე 1 გემო, რასაც გრძნობ ან გახსენდება“

დასრულება

უთხარით: „ახლა ისევ აქ ვართ, ჩვენს ჯგუფში, როგორ გრძნობ თავს?“

ხანგრძლივობა - 2-5 წუთი

პრაქტიკული რჩევები

- გამოიყენეთ მაშინ, როცა ბავშვი აღელვებულია ან გადაღლილია
- შესაძლებელია ჯგუფურად ან ინდივიდუალურად
- პატარა ბავშვებისთვის გამოიყენეთ ვიზუალური დახმარება (სურათები, ბარათები)
- არ გააკრიტიკოთ პასუხები — ყველა პასუხი სწორია

შედეგი - ეს ვარჯიში ეხმარება ბავშვებს:

- „გამორთონ“ ზედმეტი ფიქრები
- დაუბრუნდნენ რეალობას
- სწრაფად დაამშვიდონ საკუთარი სხეული და გონება

გახსოვდეთ

თითოეული პრაქტიკული რჩევის შესრულებისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ბავშვის ასაკი და ინდივიდუალური მახასიათებელი და იმგვარად შეარჩიოთ მხარდამჭერი აქტივობა.



აქტივობა — ემოციების ამოცნობა



მიზანი

ემოციების ამოცნობის უნარის განვითარება, არავერბალური კომუნიკაციის გაცნობიერება და ემპათიის გაძლიერება ყველა მოსწავლისთვის.

დადეთ იატაკზე ან მაგიდაზე ემოციების ბარათები (სურათებით):

- ბედნიერი
- სევდიანი
- გაბრაზებული
- შეშინებული
- გაკვირვებული

(2-3 წლიანების ჯგუფში საკმარისია 4-5 მარტივი ემოცია)

გაითვალისწინეთ ბავშვთა შესაძლებლობები (საგანმნათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები) გამოიყენეთ დიდი, მკაფიო სურათები, დაასახელეთ ემოციები ხმამაღლა, მიეცით არჩევანი — მიუთითოს, თქვას ან აჩვენოს.

აუხსენით ბავშვებს მარტივად:

„ახლა ვითამაშებთ თამაშს, სადაც ვაჩვენებთ ემოციებს“

ნაბიჯი 2

აღმზრდელი ან ბავშვი იღებს ერთ ბარათს და არ ამბობს ხმამაღლა.

შემდეგ აჩვენებს ემოციას:

- სახით
- ხელებით
- სხეულის მოძრაობით

თქვით:

„მოდი ვაჩვენოთ, როგორია ეს ემოცია“

ნაბიჯი 3

ბავშვები წრეში გადასცემენ ემოციას ერთმანეთს:

- თითოეული ბავშვი უყურებს წინას
- და იმეორებს იგივე გამომეტყველებას

ადაპტაციები:

- თუ რთულია, გააკეთეთ წყვილებში
- ან უბრალოდ გამოიცილონ და თავად აჩვენონ
- ბავშვმა შეიძლება თქვას სიტყვით ან მიუთითოს ბარათზე

ბოლო ბავშვი ან მთელი ჯგუფი ამბობს:

„ეს არის — ბედნიერი / სევდიანი / გაბრაზებული...“

ნაბიჯი 4

ჰკითხეთ ბავშვებს მარტივი კითხვები:

- „როგორ მივხვდით ამ ემოციას?“
- „სად ვხედავთ ამას — სახეზე თუ სხეულში?“
- „როდის ვგრძნობთ ასე?“

ყველას მიეცით გამოხატვის საშუალება:

- სიტყვით
- ჟესტით
- ბარათით

ნაბიჯი 5

მარტივად აუხსენით:

- „ადამიანები სხვადასხვანაირად გამოხატავენ ემოციებს“
- „ზოგჯერ ადვილია, ზოგჯერ რთული — ამიტომ ვაკვირდებით“
- „თუ არ ვიცით, შეგვიძლია ვკითხოთ: როგორ გრძნობ თავს?“

და დაამატეთ: „როცა ვცდილობთ გავიგოთ, რას გრძნობს სხვა — ამას ემპათია ჰქვია“

- *ყველა ბავშვი ჩართულია თავისი შესაძლებლობის მიხედვით*
- *ვაქვებთ მცდელობას, არა მხოლოდ სწორ პასუხს*
- *ვქმნით უსაფრთხო და მხიარულ გარემოს*

პიროვნული თვისებების ჩამონათვალი:

მოსიყვარულე, არტისტული, მამაცი, კრეატიული, მომხიბვლელი, მშვიდი, თანამგრძობი, მზრუნველი, საკუთარ თავში დარწმუნებული, გამგებიანი, ერთგული, ადვილად საურთიერთო, სხვების გამამხნეველი, მოქნილი, მეგობრული, გრაციოზული, ხელგაშლილი, მხიარული, პატიოსანი, მშრომელი, იუმორის გრძნობის მქონე, ჭკვიანი, ფიზიკურად ჯანმრთელი, პუნქტუალური, რელიგიური, მგრძობიარე, ძლიერი, ბეჯითი, ტკბილად მოუბარი, მიმტევებელი/შემწყნარებელი, ყურადღებიანი, თბილი.



ემოციების ზონების ბარათების გამოყენება კლასში



მიზანი

ბავშვებმა ამოიცნონ საკუთარი ემოციები, ისწავლონ მათი მართვა და შეძლონ ემოციური ბალანსის აღდგენა.

როგორ დავიწყოთ

აღმზრდელი აცნობს ბავშვებს ემოციების ზონებს და ხსნის, რომ ყველა ემოცია ნორმალურია.

ზონები

ლურჯი – სევდიანი, დაღლილი

მწვანე – მშვიდი, ფოკუსირებული
 ყვითელი – ნერვიული, ადრევებული
 წითელი – გაბრაზებული, კონტროლდაკარგული

<p>რომელ ზონაში ხარ?</p> <p>გაიყვინ შენი ემოციების ზონა. მოქმედების ბარათი დაგეხმარება მიუხედავად ამ დაბრუნდო მწვანე ზონაში.</p>	<p>ღურჯი ზონა</p>  <p>მონყენილი</p>	<p>ღურჯი ზონა</p>  <p>სევდიანი</p>	<p>ღურჯი ზონა</p>  <p>ავად</p>	<p>მწვანე ზონა</p>  <p>ბედნიერი</p>	<p>მწვანე ზონა</p>  <p>კონტროლში</p>	<p>მწვანე ზონა</p>  <p>კარგად</p>	<p>ყვითელი ზონა</p>  <p>შფოთვაში</p>
<p>ღურჯი ზონა</p>  <p>შენელებული</p>	<p>ღურჯი ზონა</p>  <p>დაღლილი</p>	<p>მწვანე ზონა</p>  <p>მშვიდი</p>	<p>მწვანე ზონა</p>  <p>ფოკუსირებული</p>	<p>ყვითელი ზონა</p>  <p>დაბნეული</p>	<p>ყვითელი ზონა</p>  <p>აღტაცებული</p>	<p>ყვითელი ზონა</p>  <p>ფრუსტრირებული</p>	<p>ყვითელი ზონა</p>  <p>ნერვიული</p>

<p>წითელი ზონა</p>  <p>გაბრაზებული</p>	<p>წითელი ზონა</p>  <p>უხეში</p>	<p>წითელი ზონა</p>  <p>კონტროლდაკარგული</p>	<p>წითელი ზონა</p>  <p>პანიკაში</p>
<p>წითელი ზონა</p>  <p>მყვირალი</p>	<p>მოქმედების ბარათი</p>  <p>გაჩერდი</p>	<p>მოქმედების ბარათი</p>  <p>შეანელე</p>	<p>მოქმედების ბარათი</p>  <p>დაისვენე</p>

ძირითადი კითხვა

„რომელ ზონაში ხარ ახლა?“

მოქმედების ბარათები

- გაჩერდი
- შეანელე
- ისუნთქე
- დაისვენე

როდის გამოვიყენოთ?

დილის წრეზე, დამაბულ სიტუაციებში და დღის ბოლოს რეფლექსიისთვის.

მნიშვნელოვანი პრინციპები

■ არ ვასამართლებთ/განვსჯით ემოციებს.
■ ყველა ბავშვი განსხვავებულია.
■ ვასწავლით ემოციების მართვას.

6. სკოლამდელი განათლების დაწესებულების პერსონალის ეთიკის პრინციპები ემიგრანტი მშობლების შვილებთან მიმართებით

ბავშვზე ზრუნვა გულისხმობს მისი უფლებების, ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვას. საბავშვო ბაღის პერსონალის საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ ბავშვის განვითარებაზე ზრუნვას, არამედ ეთიკური პრინციპების დაცვას ყოველდღიურ ურთიერთობებში.

მშობლის ემიგრაციის პირობებში ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ ემოციური მხარდაჭერა და სტაბილური გარემო. შესაბამისად, აღმზრდელების როლია იმოქმედონ სიფრთხილით, მგრძობელობითა და პროფესიული ეთიკის დაცვით, რათა ყოველთვის იყოს უზრუნველყოფილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ეთიკური სტანდარტები აუცილებელია იმისთვის, რომ:

- შეიქმნას ნდობაზე დაფუძნებული გარემო
- ბავშვმა თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და მიღებულიად
- ხელი შეეწყოს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას

⇒ საიმედოობა

სანდოობა და საიმედოობა აყალიბებს ნდობას, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერ ურთიერთობაში, მით უფრო, თუკი საკითხი ადრეული ასაკის ბავშვს ეხება. მიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფ შვილებთან დაკავშირებით ბევრი მხარეა ჩართული, მშობელი (ონლაინ) ზოგჯერ ორივე, ზოგჯერ ერთი

მშობელი ადგილზე და ერთი ემიგრაციაში, ბავშვზე მზრუნველი პირები (ბებია, ბაბუა), ზოგჯერ გაფართოებული ოჯახის წევრები და რაც მთავარია, თავად ბავშვი.

საიმედოობის მთავარი საფრთხე ტყუილია, რომელიც შეიძლება აღმზრდელმა გამოიყენოს ერთი შეხედვით ბავშვის დასაცავად, ე.წ. „მისი სიკეთისთვის“, თუმცა ამგვარი მოპყრობა ანგრევს ნდობას და ბავშვს უქმნის განცდას, რომ საფრთხის შემცველ გარემოშია, სადაც ადამიანები, რომელთა იმედიც უნდა ჰქონდეს, მასთან გულწრფელნი არ არიან.

⇒ პატივისცემა და მონაწილეობა

მოსწავლის ინდივიდუალობის პატივისცემა ნიშნავს, რომ აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნული მახასიათებლები, ემოციური მდგომარეობა და განვითარების დონე. მათი ასაკისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინება, ინფორმირებულობა და ემოციური მხარდაჭერა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ბავშვი არა მხოლოდ ვითარდება, არამედ გრძნობს, რომ იგი დაფასებულია და მის საჭიროებებს ყურადღება ექცევა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასა და მომავალში მისი ნდობისა და თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებას.



▪ ინდივიდუალობა

ყველა ბავშვი უნიკალური პიროვნებაა თავისი საჭიროებებით, ინტერესებითა და განვითარების ტემპით. აღმზრდელის ამოცანაა, აღიაროს თითოეული ბავშვის უნიკალურობა და ინდივიდუალური თავისებებები, რათა უზრუნველყოს მათი პატივისცემა და სრულფასოვანი განვითარება. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ბავშვის მიმართ მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალურად მორგებული, ასაკისა და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

▪ ღირსება

ბავშვის ღირსების პატივისცემა უმნიშვნელოვანესი პრინციპია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მისი გრძნობები, აზრები და პერსპექტივები დაფასებულია და აღიარებულია. ბავშვის მოუსმენამ და მისი ხედვების გათვალისწინებამ შესაძლოა გააძლიეროს მისი ნდობა გარემოსა და აღმზრდელის მიმართ, ასევე წახალისოს ბავშვის თავისუფალი თვითგამოხატვა და ემოციური განვითარება.

▪ ინფორმირებულობა

ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი ასპექტია. აღმზრდელის მთავარი პასუხისმგებლობაა, ბავშვი იყოს ინფორმირებული ყველა იმ პროცესსა და მოვლენაზე, რომლებიც მის ცხოვრებას ეხება. ინფორმირების პროცესი უნდა მოხდეს ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მარტივი და გასაგები ფორმით. ეს მოიცავს:

პროცესების ახსნა - ბავშვს უნდა აუხსნან, რატომ და როგორ მიმდინარეობს მის ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები ან გადაწყვეტილებები.

გამჭვირვალობა - ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მას აქვს უფლება იცოდეს ის, რაც მასზე გავლენას ახდენს.

დასაბუთებული კომუნიკაცია - ბავშვთან კომუნიკაცია უნდა იყოს სანდო და პატივისცემით გაჯერებული.

⇒ ზიანი არ მიაყენო (DO NO HARM)

აღმზრდელმა უნდა შეინარჩუნოს სიფრთხილე და გააცნობიეროს, რომ მისი ნებისმიერი ქმედება ან სიტყვა შეიძლება გავლენას ახდენდეს აღსაზრდელის ემოციურ კეთილდღეობაზე. ზიანი შეიძლება იყოს განზრახ (როგორცაა შეურაცხყოფა) ან უნებლიე (როგორცაა ბავშვის განცალკევება ან მის მიმართ უყურადღებობა). აღმზრდელის ამოცანაა, უზრუნველყოს უსაფრთხო, მზრუნველი და მხარდამჭერი გარემო, სადაც მოსწავლეს არ ექნება შფოთვის ან ზიანის განცდა.

გახსოვდეთ

ბეჭვის ხიდი - მიგრანტი მშობლების შეილებთან მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რათა თითოეული ქმედება ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

⇒ კონფიდენციალურობა

ზრუნვის კონფიდენციალურობა არის როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი საკითხი. კონფიდენციალურობა აყალიბებს ნდობას ბავშვთან და ოჯახთან. კონფიდენციალურობის გამონაკლისები და ამ პრინციპთან შეპირისპირება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის დარღვევა შეიძლება განაპირობოს კონფიდენციალურობის დაცვამ.

⇒ რეაგირება და მგრძობელობა

- **ემოციური მხარდაჭერა:** ბავშვების ემოციურ მოთხოვნილებებზე მყისიერი და სათანადო რეაგირება, კომფორტის შეთავაზება და უსაფრთხო, სანდო გარემოს შექმნა.
- **ყურადღების მიქცევა:** ყურადღება აღსაზრდელის ემოციურ მდგომარეობაზე – თუ ბავშვი არ გამოხატავს თავის პრობლემებს, აღმზრდელმა უნდა შეამჩნიოს მისი ქცევითი ცვლილებები და მოახდინოს დროული რეაგირება.

⇒ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი მიგრანტი მშობლების შვილებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს მოიცავს ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვას, მათი ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განათლებისა და განვითარების ხელშეწყობას და ნებისმიერი უთანასწორო მოპყრობის პრევენციას. მიგრანტი მშობლების შვილებთან მუშაობისას თითოეული ქმედება უნდა ეფუძნებოდეს ამ პრინციპს, რათა ბავშვებმა შეძლონ დაბრკოლებების გადალახვა და სრულფასოვანი, ბედნიერი ცხოვრების გაგრძელება. ბავშვებისთვის საბავშვო ბაღი უნდა იყოს ადგილი, სადაც ისინი იგრძნობენ მხარდაჭერას, თავდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მშობელი მათ გვერდით.

7. 9 პრინციპი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად

მასწავლებლის როლი გადამწყვეტია ემიგრანტი მშობლების შვილების ემოციური, აკადემიური და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ეს 9 პრინციპი ეხმარება სკოლებს და მასწავლებლებს, დაიცვან ბავშვები შესაძლო ნეგატიური შედეგებისგან და უზრუნველყონ მათი სტაბილური განვითარება.

1. მშობლებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება

აღმზრდელმა და საბავშვო ბაღის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყონ რეგულარული კომუნიკაცია საზღვარგარეთ მყოფ მშობლებთან სხვადასხვა ხელმისაწვდომი არხით (ტელეფონი, Viber, WhatsApp, Zoom და სხვა).

მიზანი:

- მშობლებს ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და ყოველდღიურ აქტივობებზე
- ბავშვმა არ იგრძნოს მშობელთან ემოციური კავშირის დაკარგვა

2. რისკების შესახებ მშობლების დროული ინფორმირება

აღმზრდელმა უნდა შეატყობინოს მშობელს ან მეურვეს ნებისმიერ სიტუაციაზე, რომელიც ბავშვისთვის შეიძლება იყოს რისკის შემცველი, მათ შორის:

- ქცევის მკვეთრი ცვლილებები (ჩაკეტილობა, აგრესია, ინტერესის დაკარგვა)
- ემოციური მდგომარეობის გაუარესება
- ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები

მიზანი: მშობლებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია და შეძლონ ბავშვის მხარდაჭერა

3. ბავშვის საჭიროებების მიმართ ღიაობა

აღმზრდელი უნდა იყოს ყურადღებიანი ბავშვის ემოციური, ფსიქოლოგიური და სოციალური საჭიროებების მიმართ.

როგორ:

- მუდმივი დაკვირვება ბავშვის ქცევასა და ჩართულობაზე
- ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება

მიზანი: ბავშვმა იგრძნოს, რომ ბაღი და აღმზრდელი მას მხარს უჭერს

4. ბავშვზე დაკვირვება

აღმზრდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვის ქცევით ცვლილებებს, მათ შორის:

- თვითიზოლაცია ან სხვა ბავშვებთან ურთიერთობის შემცირება
- გაღიზიანება ან აგრესიული რეაქციები
- აქტივობებში ჩართულობის შემცირება

მიზანი: პრობლემების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება

5. ემოციური მხარდაჭერა ბავშვისთვის

აღმზრდელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ბავშვი შეძლებს ემოციების თავისუფლად გამოხატვას.

აქტივობები:

- თამაშზე დაფუძნებული აქტივობები
- არტ-აქტივობები
- ინდივიდუალური და ჯგუფური კომუნიკაცია

მიზანი: ბავშვმა იგრძნოს, რომ ბაღში ჰყავს მხარდამჭერი ზრდასრულები

6. ბავშვის აქტივობებში ჩართვა

ბავშვი უნდა იყოს ჩართული ასაკის, უნარებისა და ინტერესების შესაბამის აქტივობებში.

მაგალითად:

- ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით თამაშზე დაფუძნებული აქტივობები
- ჯგუფური თამაშები

მიზანი: სოციალური უნარების განვითარება და ჯგუფში ჩართულობის განცდა

7. ზრდასრულებთან ურთიერთობის დაკვირვება

ბავშვსა და მეურვეებს/მშობლებს შორის ურთიერთობის გამოკვლევა - აღმზრდელი უნდა დააკვირდეს, როგორ ურთიერთობენ ბავშვი და მისი მეურვე (ბებია-ბაბუა, ნათესავი, ძმა/და).

მიზანი:

- თუ ბავშვს მეურვესთან ურთიერთობა რთული აქვს, აღმზრდელმა უნდა მოახდინოს დროული რეაგირება (სოციალური მუშაკის ან ფსიქოლოგის ჩართვა).
- თუ ბავშვი ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებს ოჯახის წევრებზე, აღმზრდელი უნდა დაეხმაროს, რომ ის ბავშვობიდან ზედმეტად ადრე არ გამოვიდეს.

8. მეურვეების/ბებია-ბაბუის მხარდაჭერა

საბავშვო ბაღმა უნდა უზრუნველყოს რეგულარული კომუნიკაცია მეურვეებთან.

როგორ:

- სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, სადაც ისინი მიიღებენ რეკომენდაციებს ბავშვის მხარდაჭერის შესახებ.
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სესიები, რათა მეურვეებმა გაიგონ, როგორ დაეხმარონ ბავშვებს მშობლის არყოფნის დროს.

მიზანი: მეურვეებმა გაიგონ, როგორ მოიქცნენ, რომ ბავშვი სტრესს უმტკივნეულოდ გადაურჩეს.

9. ძალადობის პრევენცია და ამოცნობა

საბავშვო ბაღის პერსონალმა და ბავშვის აღმზრდელმა უნდა იცოდნენ ძალადობის ამოცნობის ტექნიკები.

- ბავშვის ჩაკეტილობა ან მოულოდნელი აგრესიულობა.
- მოტივაციის მკვეთრი ვარდნა სწავლაში.
- ფიზიკური დაზიანებების ნიშნები ან ემოციური შფოთვა.

მიზანი: ძალადობის ან ბულინგის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება და ბავშვის დაცვა. **აღსაზრდელისთვის** უსაფრთხო გარემოს შექმნა, სადაც ის შეძლებს თავისი ემოციების უსაფრთხოდ გამოხატვას.

10. აღმზრდელის თვითრეფლექსიის ფორმა

ინსტრუქცია: თითოეული მტკიცების მიხედვით მონიშნეთ შესაბამისი პასუხი.

მტკიცება	იშვიათად (1)	ზოგჯერ (2)	ხშირად (3)
ვამჩნევ ბავშვის ემოციურ ცვლილებებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სისტემურად ვაკვირდები ბავშვის ქცევას თამაშსა და ყოველდღიურ აქტივობებში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვცდილობ გავიგო ბავშვის ქცევის უკან მდგომი მიზეზები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვქმნი უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს ჯგუფში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვამღებ ბავშვს ემოციების გამოხატვის შესაძლებლობას (სიტყვით, თამაშით, ჟესტით)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვიყენებ ემოციური მხარდაჭერის აქტივობებს (თამაში, ხატვა, საუბარი)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვიკავებ თავს ბავშვის ან მისი ოჯახის განსჯისგან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვქმნი არასტიგმატიზებელ და მიმღებ გარემოს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვითვალისწინებ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვცვლი მიდგომას ბავშვის საჭიროებებისა და განვითარების ტემპის მიხედვით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვამყარებ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ბავშვთან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ვთანამშრომლობ მშობლებთან ან ბავშვის ყოველდღიურ მზრუნველთან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვამჩნევ და ვაძლიერებ ბავშვის ძლიერ მხარეებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვიცავ ბავშვისა და ოჯახის კონფიდენციალურობას	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვხელმძღვანელობ პრინციპით „ზიანი არ მიაყენო“	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვზრუნავ საკუთარ პროფესიულ და ემოციურ კეთილდღეობაზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ქულების დათვლის სისტემა

შეაჯამეთ მონიშნული პასუხები.
მაქსიმალური ქულა: 48

16–25 ქულა — საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას
26–37 ქულა — საშუალო დონე
38–48 ქულა — მაღალი დონე

რეფლექსია

ჩემი შედეგი: _____ / 48

რა გამომდის კარგად:

.....

რის გაუმჯობესებას ვგეგმავ:

.....

ერთი კონკრეტული ნაბიჯი შემდეგი კვირისთვის:

.....

